

ლანჩბუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ლანჩბუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესი (შემდგომში - წესი) ადგენს ლანჩბუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების (შემდგომში - ცხოველები) ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის პირობებს.

### მუხლი 2. მიზანები და ამოცანები

წესის მიზანია ლანჩბუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, მსოფლიოში აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო და მეგობრული გარემოს შექმნა.

### მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- პატრონიანი ცხოველი - ცხოველი, რომელსაც ჰყავს მეპატრონებისა და კონკრეტული მომენტისთვის იმყოფება მეპატრონის, ან მეპატრონის მიერ უფლებამოსილი პირის კონტროლქვეშ;
- უპატრონო ცხოველი - ცხოველი, რომელზედაც კონკრეტული მომენტისთვის არ ხორციელდება მეთვალყურეობა და რომელსაც ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანის შემდგომ ამ წესით დადგენილ ვადაში არ დაუდგინდა მეპატრონება;

გ) უმეთვალყურეო ცხოველი - ცხოველი, რომელზეც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არ ხორციელდება მეთვალყურეობა და რომელსაც ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანიდან წესით განსაზღვრულ ვადაში დაუდგინდება მეპატრონება;

დ) ცხოველის მეპატრონები - პირი, რომელსაც საკუთრებაში და ან მფლობელობაში ჰყავს ცხოველი და რომელიც უზრუნველყოფს ცხოველის წინამდებარე წესით დადგენილ მოვლა-პატრონობას;

ე) ცხოველის მოვლა-პატრონობა - ცხოველის კვება, ცხოველისთვის აუცილებელი საარსებო პირობების შექმნა: საცხოვრებელი ფართის გამოყოფა შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით. ვეტერინარული ზედამხედველობა და მომსახურება - დაავადების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, ცოფის და სხვა დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინაცია, ვეტერინარული მკურნალობა;

ვ) ვეტერინარული სამედიცინო მომსახურება - ცხოველთა სწეულებების პროფილაქტიკა და მათი მკურნალობა;

ზ) ცხოველის მოკვდინება - უფლებამოსილი პირის მიერ ცხოველის სიცოცხლის შეწყვეტა;

თ) ცხოველთა თავშესაფარი - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი დაწესებულება, რომელშიც შესაძლებელია ცხოველთა მნიშვნელოვანი რაოდენობის მოთავსება მათი სამართლებრივი, ვეტერინარული მდგომარეობის დადგენისა და შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით;